უშგული, მინდია ჩაჩქელიანის ფოტო

2022 წელი, №3 * მესტიის მუნიციპალიტეტის მერიის საინფორმაციო გამოცემა

ეცერში სოფელ ბარშამდე მისასვლელი გზის რეაბილიტაცია მიმდინარეობს

ეცერის ადმინისტრაციულ ერთეულში, ცენტრალური გზიდან სოფელ ბარშამდე მისასვლელი გზის რეაბილიტაცია აქტიურად მიმდინარეობს.

რეაბილიტაციის პროექტის ფარგლებში, ცენტრალური გზის სავალი ნაწილიდან სოფელ ბარშამდე, მთლიანად მოეწყო მონოლითური ცემენტობეტონის საფარი. ასევე მოეწყო გვერდულები და ხელოვნური ნაგებობები (ცხაურები, გაბიონები, კიუვეტები, მილხიდების სათავისები).

ამ ეტაპზე, მიმდინარეობს ცენტრალურ გზაზე მიერთებების მოწყობის სამუშაოები. გზის ღერძის მარჯვნივ არსებულ ღელეზე, რომელიც გამუდმებით აზიანებდა სავალ ნაწილს, გზის პროფილის გასწვრივ მოეწყო 2 მეტრი სიმაღლის დამცავი ნაგებობები.

პროექტი მესტიის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტიდან და საქართველოს მთავრობის 2022 წლის 5 აგვისტოს N1398 განკარგულებით საქართველოს რეგიონში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ფინანსდება და მისი საერთო ღირებულება შეადგენს 1 170 742 ლარს.

სამშენებლო სამუშაოებს ასრულებს ელექტრონულ ტენდერში (NAT210004333) გამარჯვებული სამშენებლო კომპანია შპს „კოლხიდა“, ხოლო პროექტზე ზედამხედველობას ახორციელებს შპს „ჯეო ექსპერტი“.

პროექტის ზედამხედველის ინფორმაციით სამუშაოები სექტემბრის თვეში დასრულდება.

ნაკრაში ახალი სპორტული კომპლექსი გაიხსნა

31 ივლისს, ნაკრის ადმინისტრაციულ ერთეულში, ახალი, ორსართულიანი სპორტული კომპლექსი გაიხსნა.

კომპლექსის მშენებლობა, რეგიონული განვითარების ფონდიდან და მესტიის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტიდან ჯამში, 437 526 ლარით დაფინანსდა.

პროექტის ფარგლებში დამონტაჟდა ცენტრალური გათბობის სისტემა, მოეწყო სველი წერტილები, საშხაპეები და გასახდელები, შენობაში განთავსებულია ასევე მედდის კაბინეტი, სპორტული ცენ-

ტრის მენეჯერის ოთახი და იარუსები მაყურებლისთვის.

სპორტ-კომპლექსი საზეიმოდ გახსნეს მესტიის მუნიციპალიტეტის მერმა, კაპიტონ ჟორჟოლიანმა და პარლამენტის და-

მოუკიდებელმა წევრმა, ადგილობრივმა მკვიდრმა, სოზარ სუბარმა.

აღნიშნულ ცენტრში სამომავლოდ ასევე დაგეგმილია კრივის რინგის, საცოცი კედლის და ტრენაჟორების მოწყობა.

სპორტ-დარბაზში ჩატარდება ვარჯიშები სპორტის შემდეგ სახეობებში: ძიუდო, ქართული ჭიდაობა, კიოკუშინ კარატე და ფრენბურთი.

სპორტული კომპლექსი უმასპინძლებს, როგორც შიდა, ასევე რეგიონალურ ტურნირებს სპორტის სხვადასხვა სახეობაში.

აშშ-ს ელჩის ვიზიტი მესტიის მუნიციპალიტეტში

18 ივლისს, მესტიის მუნიციპალიტეტის მერმა კაპიტონ ჟორჟოლიანმა, დაბა მესტიაში, ამერიკის შეერთებული შტატების ელჩთან, კელი დეგნანთან შეხვედრა გამართა.

შეხვედრის თემა გახლდათ მესტიის მუნიციპალიტეტში არსებული სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობა - ელჩმა მუნიციპალიტეტის მერისგან მიიღო ინფორმაცია ზემო სვანეთში კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების მდგომარეობის, ტურიზმის მიმართულებით არსებული გამოწვევებისა და ადგილობრივი მოსახლეობის საჭიროებების შესახებ.

მხარეებმა ასევე ისაუბრეს იმ პროექტების შესახებ, რომელიც მუნიციპალიტეტში აშშ-ს მხარდაჭერით განხორციელდა.

კელი დეგნანმა, კიდევ ერთხელ გამოთქვა მზადყოფნა, მხარი დაუჭიროს მესტიის მუნიციპალიტეტის განვითარების პროცესს.

შეხვედრას ასევე ესწრებოდნენ, მესტიის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე, ქალბატონი ნელი ნავერიანი, მერის მრჩეველი კულტურისა და სოციალურ საკითხებში, ლევან კიკვიძე და მერის თანაშემწე კულტურის მიმართულებით, ვახტანგ ფილფანი.

შეხვედრის დასრულების შემდეგ, მუნიციპალიტეტის მერმა აშშ-ს ელჩს სიმბოლური საჩუქრები - სვანური ქუდი და ადგილობრივი მხატვრის, რეზო ხოჯელანის ნამუშევარი გადასცა.

სვანეთობა - 2022

29 ივლისს, დაბა მესტიაში, სეტის მოედანზე „სვანეთობის“ ღონისძიება გაიმართა.

ყველაზე მრავალფეროვანი და ტრადიციული ღონისძიება „სვანეთობა“, ყოველწლიურად, 2014 წლიდან ტარდება და მუნიციპალიტეტის 17-ვე ადმინისტრაციულ ერთეულს აერთიანებს.

ღონისძიება ოფიციალურად გახსნა მესტიის ფოლკლორულმა ანსამბლმა „რიჰომ“ სვანური საგალობელით „ლილე“ და სვანური ტრადიციული ფერხულით.

დამსწრე საზოგადოებას „სვანეთობა“ მიულოცა საქართველოს პრემიერ-მინისტრმა, ირაკლი ღარიბაშვილმა და კულტურის, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა მინისტრმა, თეა წულუკიანმა.

სეტის სკვერში მუნიციპალიტეტის თითოეულ თემს, წარმოდგენილი ჰქონდა სვანური ტრადიციული სამზარეულოს კერძები, ასევე მიმდინარეობდა ნახატების, ხალხური რეწვის ნიმუშების და ხის ნაკეთობების გამოფენა-გაყიდვა.

მთელი დღის განმავლობაში ადგილობრივ მოსახლეობას, ჩამოსულ ქართველ თუ უცხოელ სტუმრებს, შესაძლებლობა ჰქონდათ ფესტივალის მიმდინა-

რეობის პარალელურად ადმინისტრაციული ერთეულების პავილიონებთან დაეგემოვნებინათ სვანური ტრადიციული კერძები, ასევე დაეთვალიერებინათ ხალხური რეწვის ოსტატების ნამუშევრები.

სეტის სკვერში მოეწყო ჩვენი მცირე საწარმოების პროდუქტების და კოლეჯ „თეთნულდის“ კუთხე.

გაიმართა კონცერტი ადგილობრივი ფოლკლორული ანსამბლების მონაწილეობით. ჩატარდა სპორტული აქტივობები მკლავჭიდსა და ჭადრაკში.

„სვანეთობის“ დღესასწაულზე, ტრადიციულად, ყოველწლიურად, ვლინდება მესტიის მუნიციპალიტეტის საპატიო მოქალაქე - 2022 წლის სვანეთის საპატიო მოქალაქის წოდება მიენიჭათ მაყვალა ჯაფარიძეს, ლუკა ჯაფარიძეს და ვახტანგ ფილფანს, რომლებიც დააჯილდოვა მესტიის მუნიციპალიტეტის მერის პირველმა მოადგილემ, ნელი ნავერიანმა, საქართველოს მთავრობის სიმბოლური საჩუქრებით.

მესტიის მუნიციპალიტეტის კულტურის სამსახურის მიერ, ღონისძიების ფარგლებში განისაზღვრა სხვადასხვა ნომინაცია, რომელთა გამარჯვებულებიც გამოვლინდა სპეციალური ჟიურის

მიერ:

მივიწყებული საუკეთესო კერძი - თეა ლიკლიკაძე (იდლიანი)

ყველისა და რძის პროდუქტებისგან მომზადებული საუკეთესო კერძი - თამარ პაკელიანი (ეცერი)

მხალეულისგან მომზადებული სვანური კერძი - ქიონია ფარჯიანი (ლატალი)

ხორცპროდუქტებისგან მომზადებული საუკეთეს კერძი - ირმა ანსიანი (ლახამულა)

ხის საუკეთესო ნაკეთობები სვანური ელემენტებით და ლითონის ჭედური ნაკეთობები - სოზარ იოსელიანი (მულახი)

საუკეთესოდ წარმოდგენილი სუფრა - მაყვალა გურჩიანი (დაბა მესტია)

ხელსაქმის საუკეთესო ოსტატი - ბესო ნიჟარაძე (უშგული)

ჟიურის სპეციალური პრიზი - საუკეთესო ხელთნაკეთ ნივთი - კოლეჯი „თეთნულდი“

საუკეთესო მუსიკალური ნომერი - „ნენსკრა“

სამზარეულოს აღჭურვილობა ხის ძველებური ნაკეთობებით - წვირმის ადმინისტრაციული ერთეული.

ნომინაციებში გამარჯვებულები დაჯილდოვდნენ თემატური ფასიანი საჩუქრებით.

„სვანეთობის“ წლევანდელი ღონისძიება დასრულდა „თბილისური კვარტეტის“ გალა კონცერტით.

საინფორმაციო შეხვედრა ბიო ხორბლის წარმოებასთან დაკავშირებით

25 ივლისს, სვანეთის ისტორიისა და ეთნოგრაფიის მუზეუმის საკონფერენციო დარბაზში, ბიო ხორბლის მოყვანასთან დაკავშირებით, საინფორმაციო შეხვედრა ჩატარდა.

შეხვედრას უძღვებოდნენ ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, ბიო ხორბლის მსხვილი მწარმოებელი, ანზორ მაისურაძე და სოფლის მეურნეობის სამეცნიერო კვლევითი ცენტრის, თესლისა და სარგავი მასალების სტანდარტებისა და სერტიფიცირების სპეციალისტი, მირიან ჩოხელი. შეხვედრას ესწრებოდნენ ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლები, დაინტერესებული პირები და სოფლის მეურნეობის სამინისტროს პროგრამების ადგილობრივი წარმომადგენლები.

შეხვედრაზე განიხილეს საქართველოს უძველესი ენდემური ხორბლის ჯიშები. ასევე ისაუბრეს სვანური ხორბლის ისტორიულ ჯიშებზე და ნიმუშებზე, რომლებიც მცენარეთა გენეტიკური რესურსის მსოფლიოს სხვადასხვა ბანკში ინახება მე-20 საუკუნის პირველი ნახევრიდან.

მეხორბლეებმა დამსწრე საზოგადოებას გაუზიარეს პირადი გამოცდილება, როგორც ადგილობრივ, ასევე საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობის მიმართულებით და ყველა საჭირო ინფორმაცია ხორბლის წარმოებასთან დაკავშირებით.

შეხვედრაზე, მესტიის მუნიციპალიტეტის მერმა, კაპიტონ ჟორჟოლიანმა დარგის სპეციალისტებთან ერთად, განიხილა კონკრეტული ნაბიჯები და სამომავლო გეგმები, რომლებიც ხელს შეუწყობს ზემო სვანეთში ენდემური ხორბლის ჯიშების დაბრუნებას და ბიო ხორბლის მასობრივ წარმოებას, რაც თავის მხრივ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ჩვენს რეგიონში აგროტურიზმის განვითარებისთვის.

შეხვედრის ინიციატორი გახლდათ, ლენჯერის თემის წარმომადგენელი,

საქართველოს პარლამენტის ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტის წამყვანი სპეციალისტი, ასევე ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის მიმართულების დოქტორანტი, ქალბატონი, ეკატერინე უდესიანი.

შეხვედრის დასასრულს გაიმართა, ქართული სხვადასხვა ჯიშის ხორბლის ფქვილით წარმოებული პურის დეგუსტაცია.

„საქართველოს ევროპული გზა“

9 ივლისს, სვანეთის ისტორიის და ეთნოგრაფიის მუზეუმში გაიმართა შეხვედრა საქრთველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის საგანმანათლებლო პროექტის საქართველოს კულტურული, ისტორიული და პოლიტიკური რაკურსის შესახებ „საქართველოს ევროპული გზა“, რომელიც ფრიდრიხ ებერტის ფონდის მხარდაჭერით ხორციელდება.

შეხვედრის ფარგლებში მუზეუმის საკონფერენციო დარბაზში მოეწყო თემატური გამოფენა. დამსწრე საზოგადოებისთვის მოწვეულმა სტუმრებმა გამართეს ლექცია და წაიკითხეს მოხსენებები: საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის გენერალური დირექტორის მოადგილემ, მირიან ხოსიტაშვილმა; თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორმა, ეთნოლოგმა და ისტორიკოსმა როზეტა გუჯეჯიანმა (ტრადიციული ქართული სამართალი და თანამედროვე ევროპული ღირებულებები); ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორანტი და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მკვლევარმა, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, ცოდ-

ნის გადაცემისა და ინოვაციების ცენტრის ხელმძღვანელმა, სალომე ჭანტურიძემ (საქართველო და ევროპა 1918-1921 წწ.); პოეტმა, კატო ჯავახიშვილმა (ვინ ვართ? რანი ვართ?).

შეხვედრის დასასრულს, საქართველოს პარლამენტის ეროვნულმა ბიბლიოთეკამ სვანეთის ისტორიის და ეთნოგრაფიის მუზეუმს საჩუქრად წიგნები გადასცა.

სვანეთის მე-2 საერთაშორისო ფილმების ფესტივალი

10 – 15 ივლისს, მესტიის მუნიციპალიტეტმა სვანეთის საერთაშორისო კინოფესტივალის მეორე გამოშვებას უმასპინძლა.

კინოფესტივალი წელს, 13 უცხოელ და 45 ქართველ კინოხელოვანს მასპინძლობდა, მათ შორის იყვნენ კანის, ბერლინალეს, სანდესის, ტალინის, გეტებორგის, ლოკარნოსა და სხვადასხვა კინოფესტივალის მთავარი პროგრამერები.

ფესტივალის ფარგლებში საკონკურსოდ შერჩეული ოცდაათამდე მოკლემეტრაჟიანი ფილმის ჩვენება მიმდინარეობდა ყოველდღიურად მესტიის კულტურისა და ხელოვნების ცენტრში, ასევე სეტის მოედანზე - ღია ცის ქვეშ. ფესტივალის დასკვნითი, დაჯილდოვების ცერემონიალი 15 ივლისს გაიმართა.

ფესტივალის საერთაშორისო მოკლემეტრაჟიანი კონკურსის გამარჯვებულები:

საუკეთესო ფილმი - „ბესტია“ (2021/ჩილე), რეჟისორი: უგო კოკარუბიასი;

საუკეთესო რეჟისორი - „ღამის ნათება“ (2022/კოსტა რიკა), რეჟისორი: კიმ ტორესი;

საუკეთესო სამსახიობო ანსამბლი - „გუშაგები“ (2021/საქართველო), რეჟისორი: სანდრო სულაძე.

საერთაშორისო მოკლემეტრაჟიანი კონკურსის ჟიური: კანის კინოფესტივალის პროგრამერი, ვიმ ვანაკერი, ცნობილი ქართველი რეჟისორი, გელა ბაბლუანი, ოქროს პალმის რტოს მფლობელი რეჟისორი, სამეჰ ალამ. საერთაშორისო მოკლემეტრაჟიანი ფილმების კონკურსის გამარჯვებულთათვის დაწესებული იყო ფესტივალის სიმბოლიზებული ჯილდო „ქალღმერთი დალის“ გამოსახულებით.

ფესტივალზე, ასევე გამოვლინდა კრიტიკის რჩეული ფილმები:

„სიტყვების ნაკადი“ (2021/ნიდერლანდები), რეჟისორი: ელიანე ისტერი;

„გუშაგები“ (2021/საქართველო), რეჟისორი: სანდრო სულაძე.

კრიტიკის ჟიური: ბერლინარეს კინოფესტივალის პროგრამერი, კარმენ გრეი, კინომცოდნე, ნინო მხეიძე.

PITCHING FORUM 2022

წელს ფესტივალის ფარგლებში გაიმართა ფიჩინგ ფორუმი-2022, რომლის ჟიურის წევრები გახლდნენ: ბერლინალეს კინოფესტივალის მარკეტის ხელმძღვანელი, მარტინა ბლეისი, ცნობილი ქართველი კინორეჟისორი, ლევან კოღუაშვილი, ტალინის კინოფესტივალის პროგრამერი, ედვინა პუშკა.

ფორუმის ფარგლებში სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმის პროექტის განვითარების კონკურსში ჟიურიმ გამოავლინა საუკეთესო პრეზენტაციის ავტორები:

საუკეთესო პრეზენტაცია - „ბედის მწერლები“, ავტორი: სალომე ვეფხვაძე;

II ადგილი - პროექტი „ის“, ავტორი: გაბრიელ რაზმაძე.

გამარჯვებულ ავტორებს გადაეცათ საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მიერ დაწესებული ფულადი ჯილდო I ადგილისთვის - 5000 ლარი, II ადგილისთვის - 3000 ლარის ოდენობით.

ასევე, ჟიურის გადაწყვეტილებით საუკეთესო ქალი რეჟისორის ტიტული მოიპოვა ანა კვიჭიძემ (პროექტი - „მკვდრების ზღვა“ (საქართველო)), რომელსაც გადაეცა საზოგადოებრივი მაუწყებლის მიერ დაწესებული ჯილდო - 5000 ლარი.

სვანეთის საერთაშორისო კინოფესტივალის სპონსორები და მხარდამჭერები არიან: საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრო, საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრი, ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია, მესტიის მუნიციპალიტეტის მერია, დანიშნულების ადგილის მართვის ორგანიზაცია, საზოგადოებრივი მაუწყებელი, საფრანგეთის ინსტიტუტი (Institut Francais De Georgie), FILM New Europe, სს „თელიანი ველი“, სასტუმრო „ფოსტა“, კაფე „ლაილა“, სვანეთინიუსი, რადიო „ფორტუნა“ FM 106,9, AT.ge, Ambebi.ge, სარეკლამო კომპანია allprint.

შეგახსენებთ, რომ სვანეთის საერთაშორისო კინოფესტივალი გასულ წელს დაარსდა და პირველად 2021 წლის სექტემბრის თვეში გაიმართა.

ფესტივალის დამფუძნებლები და ორგანიზატორები არიან სვანი კინორეჟისორი, მარიამ ხაჭვანი და მისი მეუღლე თემო ჩხვიმიანი.

ლეო ფილფანის 88 წლის იუბილე

12 ივლისს, სვანეთის ისტორიისა და ეთნოგრაფიის მუზეუმში ჩატარდა გენიალური სვანი მსახიობის, ლეო ფილფანის ხსოვნისადმი მიძღვნილი პერფორმანსი, „რადგან ყველა ომი ტყუილია“.

აღნიშნული ღონისძიების იდეის ავტორი და სულის ჩამდგმელი, მსახიობი ნინო ფილფანია, რომელ მაც ღონისძიება ბაბუის, ლეო ფილფანის 88 წლის იუბილეს მიუძღვნა. პერფორმანსის რეჟისორი გახლავთ, კახაბერ შარტავა.

პერფორმანსში მონაწილეობდნენ, ასევე მესტიელი ახალგაზრდები:

- ქეთი ხვიბლიანი - XI კლასი, წმ. ილარიონ ქართველის სახელობის მესტიის სკოლა-გიმნაზია;
- დათო აფრასიძე - IX კლასი, მესტიიის N3 საჯარო სკოლა;
- ქეთა ჯაფარიძე - VII კლასი, მესტიის N3 საჯარო სკოლა;

- მერაბ კვიციანი - VII კლასი, მესტიის N3 საჯარო სკოლა;
- ბიძინა კახბერიძე - X კლასი, მესტიის N2 საჯარო სკოლა.

მოსწავლე-ახალგაზრდებმა, იმპროვიზაციულად დახატეს ბესიკ ხარანაულის, გიორგი ლობჟანიძის, მარიამ წიკლაურის, კატო ჯავახიშვილის, ნატო ინგოროყვას, დიანა ანფიმიადის, ნინო სადღობელაშვილის ლექსები.

მეგობრებმა და ახლობლებმა პატივი მიაგეს ლეო ფილფანის ხსოვნას, ისაუბრეს მის განვლილ ცხოვრებაზე და აღნიშნეს მისი უდიდესი ღვაწლი ქართული კინოსა და თეატრის ისტორიაში.

საღამო დასრულდა სვანური სიმღერით „ჯგრაგიშ“.

ლეო ფილფანის ხსოვნისადმი მიძღვნილი ღონისძიება ტრადიციულ სახეს მიიღებს და ყოველწლიურად აღინიშნება.

თეა წულუკიანის ვიზიტი მუზეუმში

საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრი თეა წულუკიანი სამუშაო ვიზიტით სვანეთში იმყოფებოდა, სადაც შეხვედრა გამართა სვანეთის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის ხელმძღვანელობასა და თანამშრომლებთან.

როგორც ცნობილია, საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრის 2021 წლის 30 დეკემბრის გადაწყვეტილებით, სვანეთის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმს სსიპ ეროვნული მუზეუმების გაერთიანებაში განსაკუთრებული, ავტონომიური სტატუსი მიენიჭა და მის დირექტორად ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის არქეოლოგიის მიმართულების ასოცირებული პროფესორი, არქეოლოგიის საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელი ზვიად კვიციანი დაინიშნა.

მინისტრმა ზვიად კვიციანისგან მოისმინა ინფორმაცია მისი დირექტორად დანიშვნიდან დღემდე შესრულებული სამუშაოების შესახებ.

აღსანიშნავია, რომ მინისტრის მიერ სწორედ ზვიად კვიციანს დაევალა მუზეუმში ინვენტარიზაციის პროცესის წარმოება, რომლის შემაჯამებელი მასალებიც სამინისტროს უკვე გადაეცა.

ზვიად კვიციანის ინიციატივით დაიწყო ასევე სვანეთის ტერიტორიაზე მდებარე ეკლესიებში თავმოყრილი სიძველეებისა და ექსპონატების აღწერა და დადარება-შეჯერება, რაც უკანასკნელი ათწლეულების განმავლობაში არ მომხდარა.

ამ მიზნით, სვანეთის ისტორიის და ეთნოგრაფიის მუზეუმის ბაზაზე შეიქმნა „სვანეთის კულტურული მემკვიდრეობის დაცვისა და მუზეუმის მხარდაჭერის საბჭო„, რომელიც შესაბამის ორგანიზაციებთან მჭიდრო, კოორდინირებული თანამშრომლობით ახორციელებს პროცესს, რომელიც კულტურული მემკვიდრეობის დაცვასა და გადარჩენას გულისხმობს.

ფერმერთა საყურადღებოდ!

ლიბერთი ბანკის აგრობარათებზე „სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების მესაკუთრეთა ხელშეწყობის პროგრამით„ გათვალისწინებული ქულების დარიცხვა, პოტენციური ბენეფიციარებისთვის ეტაპობრივად ხორციელდება.

აღნიშნულიდან გამომდინარე, აუცილებელია, ბარათის გასააქტიურებლად ან ახალი ბარათის ასაღებად, ბანკში ვიზიტამდე, ლიბერთი ბანკის ვებ. გვერდზე https://myliberty.ge/?id=agro გადაამწმოთ ინფორმაცია თქვენს ბარათზე ქულების დარიცხვის შესახებ და მხოლოდ ამის შემდეგ ეწვიოთ ლიბერთი ბანკის თქვენთვის მოსახერხებელ ფილიალს.

გაცნობებთ, რომ აგრო ქულის გააქტიურების და გამოყენების ბოლო ვადაა 2022 წლის 30 ნოემბერი. 01 დეკემბრიდან აღარ მოხდება ქულის გააქტიურება.

პროგრამაში მონაწილეობისა და დარიცხული ქულების შესახებ ინფორმაციის გადამოწმება ასევე შესაძლებელია ლიბერთი ბანკის ცხელი ხაზის (2 55 55 00) მეშვეობით. ფერმერებს პროგრამის დეტალების შესახებ ინფორმაციის მისაღებად, ან პროგრამაში ჩართვასთან/პროგრამით სარგებლობასთან დაკავშირებულ ნებისმიერ საკითხზე შეუძლიათ დაუკავშირდნენ გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ცხელ ხაზს (1501).

„სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების მესაკუთრეთა ხელშეწყობის პროგრამით„ სასოფლო-სამეურნეო მიწაზე სუბსიდიის მოცულობა განისაზღვრა 1 ჰა-ზე 300 ლარით (აგრობარათზე დარიცხული 300 ქულით). პროგრამის ფარგლებში სუბსიდიას მიიღებენ 0.25 ჰა-დან - 1.25 ჰა-ს ჩათვლით მიწის მესაკუთრეები/თანამესაკუთრეები.

ქულების გამოყენება შესაძლებელია სპეციალიზებულ მაღაზიებში, სასოფლო-სამეურნეო საქონლის - ჰერბიციდები, პესტიციდები, სათესლე მასალები, სასოფლო სამეურნეო იარაღები, და სხვა - შესაძენად. მაღაზიების ჩამონათვალი, მისამართების მითითებით იხილეთ: https://myliberty.ge/files/Agro.pdf.

ფერბენქს სტეფლიანის 75 წლის საიუბილეო საღამო

3 ივლისს, დამსახურებული ხელოვანის, მესტიის მუნიციპალიტეტის ფოლკლორული ანსამბლ „რიჰოს“ ღვაწლმოსილი წევრის, ფერბენქს სტეფლიანის 75 წლის საიუბილეო საზეიმო ღონისძიება გაიმართა.

საღამოზე ბატონმა ფერბენქსმა შეასრულა მის მიერ 50 წლის წინ ნამღერი სოლო სიმღერები, როგორც ქართულ, ასევე უცხოურ ენებზე.

მაყურებლის წინაშე წარსდგნენ: ანსამბლი „რიჰო“, ანსამბლი „ნენსკრა“, ქორეოგრაფიული ანსამბლი „ბანგურიანი“, ტრიო „ირინოლა“ და ეცერის სკოლის აღსაზრდელები.

ბატონ ფერბენქსს იუბილე მიულოცეს მესტიის მუნიციპალიტეტის მერის მრჩეველმა კულტურისა და სოციალურ საკითხებში, ლევან კიკვიძემ. ასევე, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ, ზაურ ჩართოლანმა და ირაკლი ჭკადუას სახელობის საქველმოქმედო ფონდმა.

ღონისძიების ორგანიზატორი გახდათ მესტიის კულტურისა და ხელოვნების ცენტრი, რომელმაც იუბილარს საჩუქრად სვანური „საკარცხული“ გადასცა.

უფასო სამედიცინო აქცია მულახში

9 ივლისს, მულახის ადმინისტრაციულ ერთეულში, სამედიცინო ტიპის საქველმოქმედო აქცია გაიმართა. ა(ა)იპ „Cum Deo - მედიკოსები საზოგადოებრივი ჯანმრთელობისთვის“ ექიმთა ჯგუფმა, პროფესორ, სოლომონ ზეიკიძის ხელმძღვანელობით, ადგილობრივ მოსახლეობას უფასო სამედიცინო მომსახურეობა გაუწია და გასინჯული პაციენტები უზრუნველყო საჭირო მედიკამენტებით. აქციის ფარგლებში, 50-მდე ბენეფიციარმა მიიღო სხვადასხვა პროფილის (კარდიოლოგი, ენდოკრინოლოგი, თერაპევტი, ნევროლოგი, ფიზიოთერაპევტი) მაღალპროფესიონალი ექიმების კონსულტაცია.

შეგახსენებთ, რომ 2021 წლის ივნისის თვეში, აღნიშნულმა ორგანიზაციამ საქველმოქმედო აქცია ჩაატარა მესტიის მუნიციპალიტეტის ლატალისა და წვირმის ადმინისტრაციულ ერთეულებში.

აქციის ფინანსური მხარდამჭერი გახლდათ მესტიის მუნიციპალიტეტის მერია.

ოფთალმოლოგიური კვლევები მესტიაში

8-9 ივლისს „მესტიის საავადმყოფო-ამბულატორიულ გაერთიანებაში“ მოწვეულმა პროფესორმა, ოფთალმოლოგმა, ალექსანდრე ალექსიძემ პაციენტებს მხედველობის სიმახვილის და ყველა საჭირო ოფთალმოლოგიურ კვლევა - კონსულტაცია ჩაუტარა.

გურამ გუგავას ხსოვნისადმი მიძღვნილი რესპუბლიკური ტურნირი ქართულ ჭიდაობაში

16 - 17 ივლისს, ლენტეხში ჩატარდა გურამ გუგავას ხსოვნისადმი მიძღვნილი რესპუბლიკური ტურნირი ქართულ ჭიდაობაში. შეჯიბრში მესტიის მუნიციპალიტეტის გუნდიდან საპრიზო ადგილი აიღო და +75 კგ. წონით კატეგორიაში I ადგილი მოიპოვა გიორგი ჟორჟოლიანმა.

მუნიციპალური პირველობა მინი-ფეხბურთში

3 ივლისს, მესტიაში ჩატრდა მუნიციპალიტეტის პირველობა მინი-ფეხბურთში. შეჯიბრი ორ ასაკობრივ ჯგუფში, 2006-2008 და 2009-2011 წლებში დაბადებულ მოსწავლეთა შორის გაიმართა.

ღონისძიებაში სულ 9 გუნდი ასპარეზობდა: ცხუმარის ორი, ეცერის ორი, ლატალის ორი, მესტიის ორი და ლენჯერის ერთი გუნდი.

გამოვლინდნენ გამარჯვებულები და პრიზიორები, რომლებიც დაჯილდოვდნენ შესაბამისი ხარისხის მედლებითა და დიპლომებით. პირველ ადგილზე გასული გუნდები დაჯილდოვდნენ თასებით.

უმცროსი ასაკი (2009 - 2010 - 2011 წ.):
I ადგილი - ლატალი
II ადგილი - მესტია
III ადგილი - ეცერი

უფროსი ასაკი (2006 - 2007 - 2008 წ.):

I ადგილი - ლატალი
II ადგილი - ცხუმარი
III ადგილი - ეცერი.

აღნიშნული შედეგების საფუძველზე დაკომპლექტდება მუნიციპალიტეტის ნაკრები გუნდი, რომელიც მონაწილეობას მიიღებს გასვლით ტურნირებზე.

ააიპ მესტიის მუნიციპალიტეტის სპორტული ცენტრის სახელით წარმატებებს ვუსურვებთ შეჯიბრის თითოეულ მონაწილეს და მათ მწვრთნელებს.

დამფუძნებელი: მესტიის მუნიციპალიტეტის მერია მისამართი: დ. მესტია სეტის მოედანი №1	გაზეთი მოამზადა მესტიის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციის სამსახურის საზოგადოებასთან ურთიერთობის და ინფორმაციული უზრუნველყოფის განყოფილებამ: თამარ გოშთელიანი, მაია ფილფანი, ლაშა ჯაფარიძე და ხატია წიკლაური.	გაზეთი აეწყო და დაკაბადონდა შ.პ.ს. გამომცემლობა „კოლორი“-ს კომპიუტერულ ცენტრში	ინფორმაციისთვის დაგვიკავშირდით შემდეგ ტელეფონის ნომერზე: 599 85 55 25 თამარ გოშთელიანი 595 08 95 30 ხატია წიკლაური ელ. ფოსტა: meriasazogadoeba@gmail.com